ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/161

ქ. თბილისი

16. 09. 2013

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის სტუდენტ გვანცა მგალობლიშვილისათვის 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ფარგლებში სპეციალობის შეცვლის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2პუნქტის „დ" ქვეპუნქტის; „ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" VI თავის მე-4 პუნქტისა და VII თავის, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა მობილობის ვაკანსიების, ვადებისა და პროცედურის დადგენის შესახებრექტორის 2013 წლის 29 ივლისის №02-02/144 ბრძანების; ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) სტუდენტ გვანცა მგალობლიშბილის განცხადების (№1/1257, 30,08.2013); ამავე სკოლის (ფაკულტეტის) დეკანის მოადგილის პროფ. ვ, გურულის თანხმობის; სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლის (ფაკულტეტის) დეკანის პროფ. დ. ნადირაშვილის თანხმობისა და კრედიტების აღიარების თაობაზე დასკვნის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გადაყვანილ იქნეს 2012-2013 სასწავლო წლის გაზავხულის სემესტრიდან, შიდა მობილობის ფარგლებში, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის" ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) საგანმანათლებლო პროგრამა „ისტორიის" V სემესტრის

სტუდენტი *გვანცა მგალობლიშვილი* ამავე უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლის (ფაკულტეტის) საგანმანათლებლო პროგრამა „ფსიქოლოგიაზე" 40 კრედიტის აღიარებით, III სემესტრის სტუდენტად დარეგისტრირების უფლებით;

2. ეცნობოს და ბრძანების ასლი გაეგზავნოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე